სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი
LEPL INTERNATIONAL EDUCATION CENTER

MES 9 19 01417160

18/10/2019

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
გიორგი შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის „საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დამტკიცდა ტრენინგის პროგრამა - „Doctorate Lab მომავალი დოქტორანტებისათვის.“

პროგრამა ხორციელდება ცენტრის საერთაშორისო პარტნიორების - საქართველოში უნგრეთის, იტალიის და საფრანგეთის საელჩოების მხარდაჭერით, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ქვეყნებიდან უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების წარმომადგნელების საქართველოში მოწვევისა და ვიზიტის ორგანიზებას.

მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გეგმავენ სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ დოქტორანტურის საფეხურზე. აგრეთვე, ცენტრის პარტნიორი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების შესაბამისი ადმინისტარციული/აკადემიური პერსონალი.

აღნიშნული ტრენინგის პროგრამის მიზანია, საქართველოში უმაღლესი განათლების (დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურის) წახალისება/მხარდაჭერა, ხელმისაწვდომობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. ასევე, ახალგაზრდა მკვლევარების ხელშეწყობა გაიღრმავონ ცოდნა საერთაშორისო დონეზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე.

პროგრამის მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია საერთაშორისო მასშტაბით დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე არსებული გამოწვევების და თანამედროვე სტანდარტების შესახებ. იტალიის, უნგრეთის და საფრანგეთის უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებს მიეცემათ შესაძლებლობა კომუნიკაცია დაამყარონ საქართველოში სტუდენტებთან, ასევე, ახალგაზრდა მკვლევარებთან, რომლებიც გეგმავენ

ი.ჭავჭავაძის გამზ. 7, თბილისი 0179, საქართველო
032 297 01 97
info-iec@iec.gov.ge
iec.gov.ge

სწავლა განაგრძონ საზღვარგარეთ სადოქტორო პროგრამაზე და ამ გზით მოიძიონ პოტენციური დოქტორანტები საერთაშორისო არენაზე.

ტრენინგის განხორციელება დაგეგმილია სამ ეტაპად:

1. საფრანგეთის უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების/დაწესებულებების წარმომადგენლების ვიზიტი - 29 ოქტომბერი, 2019;
2. უნგრეთის უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების/დაწესებულებების ვიზიტი - 22-23 ნოემბერი, 2019;
3. იტალიის უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების/დაწესებულებების წარმომადგენლების ვიზიტი - 20-24 იანვარი, 2020.

გთხოვთ, პროგრამის მიზნობრივ ჯგუფებში უზრუნველყოთ ინფორმაციის გავრცელება და ხელმისაწვდომობა.

ვინაიდან, მიმდინარე წელს ტრენინგის პროგრამა ხორციელდება საპილოტე რეჟიმში, ცენტრის ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრაცია შეთავაზებული იქნება მომდევნო წლიდან. გთხოვთ, პროცესის ეფექტურად ორგანიზების მიზნით, თითოეული ტრენინგის ჩატარებამდე 3 სამუშაო დღით ადრე მოგვაწოდოთ მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაცია (რაოდენობა, მონაწილეთა სახელი, გვარი და სტატუსი) ცენტრის ოფიციალურ ელ. ფოსტის მისამართზე: info-iec@iec.gov.ge

თარიღების ცვლილების შემთხვევაში, წინასწარ გეცნობებათ გონივრულ ვადაში პროგრამის მიზნობრივი ჯგუფების დროულად ინფორმირების მიზნით.

საკონტაქტო პირი პროგრამულ საკითხებთან დაკავშირებით: ნინო სულავა - აკადემიური პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების სამსახურის უფროსი. საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა nsulava@gov.ge, ტელ.: 595650002.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

ნინო ჭელიძე